ვაკანსიის № 103164

პოზიციის დასახელება	სამეურნეო და ლოჯისტიკის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი
კონკურსის ტიპი	სხვა
ორგანიზაცია	სსიპ - ღვინის ეროვნული სააგენტო
კატეგორია	სამეურნეო
განცხადების ბოლო ვადა	01.10.2026
თანამდებობრივი სარგო	2880 ლარი
ადგილების რაოდენობა	1
სამსახურის ადგილმდებარეობა	თბილისი
სამუშაოს ტიპი	სრული განაკვეთი
გამოსაცდელი ვადა	3 თვე

ფუნქციები

ა) სამმართველოს ფუნქციების გათვალისწინებით ასრულებს სამეურნეო და ლოჯისტიკის სამმართველოს უფროსის დავალებებს/მითითებებს;
ბ) კომპეტენციის ფარგლებში, დადგენილი წესით, იხილავს სააგენტოში შემოსულ კორესპონდენციებს და ახდენს მათზე რეაგირებას;
გ) ახორციელებს კომპიუტერული და სატელეკომუნიკაციო ქსელების ადმინისტრირებას და მონიტორინგის, ასევე ურთიერთკავშირის უსაფრთხო და გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფას;
დ) ახორციელებს ერთიანი ელექტრონული სისტემის მართვას, მისი გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფას და განვითარებას;
ე) უზრუნველყოფს ვიდეო-სათვალთვალო, საკონფერენციო აუდიო/ვიდეო და შენობის დაშვების მოწყობილობების ტექნიკურად გამართულ ფუნქციონირებას და დაზიანების დაფიქსირების შემთხვევაში ახორციელებენ სამმართველოს უფროსის ინფორმირებას;
ვ) ახორციელებს სააგენტოს სატელეფონო სერვისების უწყვეტი ფუნქციონირების უზრუნვეყოფას;
ზ) თავისი ფუნქციების განსახორციელებლად ამზადებს მოხსენებით ბარათებს, ახდენს მისი საქმიანობის შესრულებასთან დაკავშირებით ან მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხზე მომზადებული დოკუმენტაციის ვიზირებას;
თ) სამეურნეო და ლოჯისტიკის სამმართველოს უფროსს წარუდგენს საქმიანობის პერიოდულ ანგარიშებს;
ი) მონაწილეობას იღებს სააგენტოს ბალანსზე რიცხული მატერიალური ფასეულობების აღრიცხვის/ინვენტარიზაციის პროცესში და ამზადებს აღრიცხვასთან/ინვენტარიზაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის პროექტებს;
კ) უზრუნველყოფს სააგენტოს კუთვნილი ავტოპარკის მართვასა და მოვლასთან დაკავშირებული საკითხების ორგანიზებასა და კონტროლს;
ლ) ასრულებს სამეურნეო და ლოჯისტიკის სამმართველოს უფროსის, დეპარტამენტის უფროსის მიერ დაკისრებულ სხვა ფუნქციებს/დავალებებს/მითითებებს.

მოთხოვნები

მინიმალური განათლება	ბაკალავრი
სამუშაო გამოცდილება	2 წელი
პროფესია	ბიზნესის ადმინისტრირება/სამართალმცოდნე

საკონკურსო თემატიკა

საქართველოს კონსტიტუცია (I და II თავები);„ვაზისა და ღვინის შესახებ“ საქართველოს კანონი;საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი (III თავი);საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ღვინის ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2012 წლის 17 აპრილის 2-67 ბრძანება.

კომპიუტერული პროგრამები, ოპერაციული სისტემები

პროგრამის დასახელება	ცოდნის დონე
Microsoft Office Word	ძალიან კარგი
Microsoft Office Excel	ძალიან კარგი
Microsoft Office Outlook	ძალიან კარგი

საკონტაქტო ინფორმაცია

საკონკურსო კომისიის მისამართი	• მარშალ გელოვანის გამზ. 32, 0159 თბილისი.
საკონტაქტო ტელეფონები	• 032 297 41 03 (შიდა 2020)

დამატებითი მოთხოვნები

სავალდებულო:

- ადმინისტრაციულ ორგანოში სამეურნეო მიმართულებით მუშაობის არანაკლებ 2-წლიანი გამოცდილება;
- სასურველია ინგლისური ენის ცოდნა;

პიროვნული თვისებები და უნარ-ჩვევები:

- პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა;
- არგუმენტირებული მსჯელობის/საკუთარი მოსაზრების მკაფიოდ ჩამოყალიბების უნარი;
- ანალიტიკური აზროვნება;
- ეფექტური კომუნიკაციის უნარი (ზეპირსიტყვიერი და წერითი);
- შედეგებზე ორიენტირებულობა;
- ლოგიკური აზროვნების უნარი;
- დეტალებზე ორიენტაციიის უნარი;
- დროის ეფექტურად მართვის უნარი;
- პრეზენტაბელურობა, კომუნიკაბელურობა;

დამატებითი ინფორმაცია

- კონკურსით შერჩეული კანდიდატი მიიღება შრომითი ხელშეკრულებით.
აუცილებელია კანდიდატმა:
- განათლება კვალიფიკაციის გრაფაში ატვირთოს უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- შესაბამის გრაფაში მიუთითოს მინიმუმ 1 რეკომენდატორი (სახელი, გვარი, სამუშაო ადგილი, თანამდებობა და საკონტაქტო ინფორმაცია) და წარმოადგინოს სამოტივაციო წერილი.
- კონკურსანტი, რომლის მონაცემებიც არ შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს, მათ შორის სავალდებულოდ ასატვირთი დოკუმენტების წარუდგენლობის ან/და ინფორმაციის არასრულყოფილად წარდგენის შემთხვევაში, ავტომატურად მოიხსნება კონკურსიდან. კონკურსის შედეგების, ასევე ჩატარების ზუსტი ადგილის, თარიღისა და დროის შესახებ კანდიდატებს ეცნობებათ დამატებით.
- სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს საქმიანობისა და სტრუქტურის შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ ვებ გვერდს: www.georgianwine.gov.ge
- მეორე ეტაპზე - გასაუბრებაზე მოსულმა კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი.

გადაწყვეტილების მიღების ფორმა და ვადა

- კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, ქულათა სისტემით, გადაწყვეტილებას მიიღებს სსიპ - ღვინის ეროვნულ სააგენტოში შექმნილი საკონკურსო კომისიის წევრთა შემადგენლობა, განცხადების წარდგენის ვადის დასრულებიდან არაუგვიანეს 3 თვის ვადაში.

კონკურსის ეტაპები

განცხადების გადარჩევა
გასაუბრება